შპს თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS LTD



თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY

ქ. თბილისი

10.01.2020 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 3

შპს „თეგეტა მოტორსის“ სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსისთვის გარკვეულ დოკუმენტებზე ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების/დელეგირების შესახებ

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შპს „თეგეტა მოტორსის“ (შემდგომში - „კომპანია“) სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსს ჟორა რუხაძეს (პ/ნ: 55001024572) მიენიჭოს უფლებამოსილება, მასზედ რომ იყოს კომპანიის წარმომადგენელი და მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ ელექტრონული ან სხვა საშუალებების გამოყენებით განსახორციელებელ შესყიდვაში, თუ შესასყიდი ობიექტის ღირებულება არ აღემატება ჯამში 100,000.00 (ასი ათასი) ლარს და აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ხელი მოაწეროს სატენდერო დოკუმენტაციას, ხელშეკრულებას, შეთანხმებას, მიღება-ჩაბარების აქტს, განაცხადს და ყველა იმ საჭირო დოკუმენტაციას, რაც სავალდებულოა მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად. ასევე, მარწმუნებლის სახელით ხელი მოაწეროს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებს, რომლითაც განსაზღვრული საქონლის/მომსახურების შესყიდვის ღირებულება არ აღემატება 100,000.00 (ასი ათასი) ლარს. რწმუნებული, ასევე, უფლებამოსილია ხელი მოაწეროს ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში გასაფორმებელ შეთანხმებებს. ასევე, მარწმუნებლის სახელით ხელი მოაწეროს საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის თაობაზე გასაფორმებელ მიღება-ჩაბარების აქტებს საქონლის/მომსახურების ღირებულების მიუხედავად.
2. აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს კომპანიის კომერციულ დირექტორს - დ. გოზალიშვილს.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მის გაუქმებამდე.
4. ბრძანება გაეცნოს ყველა მასთან დაკავშირებულ პირს.

ავთანდილ წერეთელი

გენერალური დირექტორი

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY
#5, 12 km, D.AGHMASHENEBELI ALLEY,
0131 TBILISI, GEORGIA. ID: 202177205

ეგზავნება: საოფისე მართვის განყოფილებას-1; გაყიდვების დეპარტამენტს - 1 (ასლი).